

შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო  
უნივერსიტეტი



„დამტკიცებულია“  
აკადემიურ საბჭოს სხდომაზე  
რექტორი ანზორ შარაშენიძე

აკადემიური პერსონალის, ადმინისტრაციის  
სტუდენტების, კურსდამთავრებულთა და  
დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევის  
ანალიზი

2018-2019 სასწავლო წელი

2019 წ.

## შესავალი

შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა 2018-2019 სასწავლო წლის მეორე სემესტრში ჩაატარა სტუდენტთა, აკადემიური პერსონალის, თანამშრომელთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევა და მისი შეფასება. განსახილველი საკითხები განსხვავდებოდა კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე, თუმცა მოიცავდა შემდეგ თემების შეფასებას:

- პროგრამა;
- ინტერნაციონალიზაცია;
- სტუდენტური სერვისები;
- დატვირთვის სქემა;
- კოლეგიალური ურთიერთდასწრება;
- ადმინისტრაციული საქმიანობა;
- მატერიალური რესურსები;
- სასწავლო უნივერსიტეტში მიღებული კომპეტენციები.

საკვლევი აუდიტორიის თითოეულ წევრს მიეცა საშუალება თავისუფლად დაეფიქსირებინა თავისი დამოკიდებულება, მოსაზრება და შენიშვნები, დარიგებული კითხვარის საშუალებით. მოცემულ ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია ეყრდნობა სისტემატიზებული კვლევების მონაცემთა ანალიზს, რომელიც წარმოდგენილია SWOT ანგარიშის სახით.

## კვლევის მეთოდოლოგია, დიზაინი და ინსტრუმენტები

გამოკითხვის ჩასატარებლად შედგა კითხვარი, რომელიც მოიცავდა, ძირითადად დემოგრაფიული, ნეიტრალურ-ქვევითი, განწყობის გასაზომი, ცოდნის შესაფასებელი, შესრულების შესაფასებელი და ფსიქოგრაფიული ტიპის შეკითხვებს.

შემუშავებული კითხვარი თითოეული კვლევის აუდიტორიას დაურიგდა მენეჯერის დახმარებით და მოხდა მისი შევსება დღის ბოლომდე. კვლევის აუდიტორიამ ინფორმაცია მიიღო კვლევის მიზნისა და მკვლევარის, პასუხების

კონფიდენციალობისა და ანონიმურობის შესახებ. სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა კვლევის მიზანი იყო შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტების კმაყოფილების ხარისხის შეფასება.

- კურსდამთავრებულთა გამოკითხვა-გამოკითხა 7
- სასწავლო კურსების შეფასების კითხვარი--გამოკითხა 25
- სასწავლო პროცესის შეფასების კითხვარი სტუდენტებისთვის--გამოკითხა 40
- ლექტორის და კურსის შეფასების კითხვარი-გამოკითხა 33
- ბიბლიოთეკის შეფასების კითხვარი- გამოკითხა 25 საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით:
- ინგლისური ფილოლოგიაში სულ არის 28 სტუდენტი-გამოკითხა 23 სტუდენტი 10 -აკადემიური პერსონალი
- ბიზნესის ადმინისტრირება სულ არის 101 სტუდენტი -გამოკითხა 70 სტუდენტი 30 ლექტორი
- სტომატოლოგია-101სტუდენტი გამოკითხა 50 სტუდენტი 35 ლექტორი ➤ სამართალი მაგისტრატურა -გამოკითხა 5 აკადემიური პერსონალი.
- გამოკითხა დამსაქმებელი და სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ყველა თანამშრომელს დაურიგდათ შესაბამისი კითხვარები.

აქტიური სტუდენტების რაოდენობა არის 228 სტუდენტი, აქედან გამოკითხა 130 სტუდენტი.

მოცემულ კვლევაში მაქსიმალურად განხორციელდა სტუდენტების დამოუკიდებელ მონაცემთა გათვალისწინება, რამაც მათი მრავალფეროვნების ამსახველი სურათი შექმნა. არსებული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ სტუდენტთა კმაყოფილება თავისუფლად შეიძლება შეფასდეს დადებითად. პროგრამის შესახებ სტუდენტებმა დააფიქსირეს თავიანთი დამოკიდებულება შემდეგი კომპონენტების მიმართ: პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამაში შემავალი ნაწილების, სწავლების შედეგების შეფასების, ინდივიდუალური პროგრამისა და სტუდენტთა საჭიროებების შესახებ. გამოკითხულ სტუდენტთა უმრავლესობა ფიქრობდა, რომ მოცემულმა პროგრამამ მათი მოლოდინები გაამართლა.

სტუდენტებმა თავიანთი მოსაზრებები დააფიქსირეს ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით. სასწავლო უნივერსიტეტი სტუდენტებს უქმნიდა შესაძლებლობას ჩართულიყვნენ საერთაშორისო პროექტებსა და სამეცნიერო კვლევებში, აგრეთვე უზრუნველყოფდა ინფორმირებას აღნიშნულ თემებთან დაკავშირებით და

სტუდენტებს კონსულტაციებს უწევდა გარე დაფინანსების წყაროებთან დაკავშირებით.

სტუდენტური სერვისები სტუდენტებმა ძირითადად დადებითად შეაფასეს. გამოვლინდა, რომ ისინი კმაყოფილები არიან კარიერული მხარდაჭერის სერვისით, თუმცა ამ მხრივ სტუდენტთა აქტივობა დაბალია, რაც საჭიროებს მათი გასააქტიურებელი ღონისძიებების განხორციელებას. ისინი დადებითად აფასებდნენ ასევე ინდივიდუალური გეგმის განხორციელებასა და კოორდინატორების მუშაობას. გამოვლინდა, რომ სტუდენტური თვითმმართველობის ცნობადობა მკვეთრად დაბალია გამოკითხულ სტუდენტებში, ისინი ნაკლებად იცნობენ თვითმმართველობის საქმიანობას, თუმცა აუცილებლად ყურადსაღებია რეორგანიზაციასთან დაკავშირებული მოვლენები, რითაც თავისუფლად აიხსნება ზემოხსენებული დამოკიდებულება. გამოკითხულთა აზრით, სასწავლო უნივერსიტეტი მატერიალური რესურსებით სასწავლო უნივერსიტეტს უზრუნველყოფს. თუმცა მონაცემთა ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ საჭიროა ამაღლდეს სტუდენტთა ცნობადობა საბიბლიოთეკო რესურსების არსებობისა და მათი გამოყენების შესახებ.

### აკადემიური პერსონალის კმაყოფილების კვლევა

კვლევის მიზანი იყო შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიერ საუნივერსიტეტო საქმიანობით კმაყოფილების შეფასება.

დამოუკიდებელი ცვლადების მეშვეობით წარმოჩინდა აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მონაცემთა მრავალფეროვნება.

კვლევის ფარგლებში აკადემიურმა და ადმინისტრაციული პერსონალმა შეაფასა დატვირთვის სქემა სამი კომპონენტის მიხედვით: სასწავლო პროცესის, სამეცნიეროკვლევითი და ადმინისტრაციული საქმიანობის, რაც მიღებული პასუხებიდან გამომდინარე გარკვეულწილად გადახედვას საჭიროებდა.

აკადემიურმა პერსონალმა თავისი აზრი დააფიქსირა ადმინისტრაციული საქმიანობის შესახებ; ისინი თვლიდნენ, რომ სამსახურში მიღება-დანაშენის პროცესები მიმდინარეობს სამართლიანად და გამჭვირვალედ, სამსახურში თანამშრომელთა ინტეგრირება ეფექტურად ხორციელდებოდა, სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაცია მონდომებულია თანამშრომელთა კმაყოფილების ღონის ამაღლებისათვის და მათ საქმიანობასაც ობიექტურად აფასებდა, თუმცა შრომით ანაზღაურებას გამოკითხულთა ნახევარზე მეტი ნაწილი სამუშაო დატვირთვის ადეკვატურად არ აღიქვამდა. აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა

უმეტესი ნაწილი მომხრე იყო კოლეგიალური ურთიერთდასწრების პრაქტიკის გააქტიურების, ხოლო რაც შეეხება სტუდენტების მიერ კონსულტაციის დროის ათვისებას, აქ სტუდენტთა ჩართულობა დაბალი გამოვლინდა.

აკადემიურმა და ადმინისტრაციულმა პერსონალმა თავისი აზრი დააფიქსირა სასწავლო უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის საკითხის მიმართაც. მათი აზრით, უნივერსიტეტი არა მხოლოდ მხარს უჭერდა ჩართულიყვენ საერთაშორისო სამეცნიერო კვლევებსა და პროექტებში, არამედ უცხოელ კოლეგებთან თანამშრომლობაშიც ეხმარებოდათ.

პროგრამის შემუშავებაში ისინი აღნიშნავდნენ, რომ ითვალისწინებდნენ საერთაშორისო პრაქტიკას და აქტიურად იყვნენ ჩართულები. გამოკითხულთა დიდ ნაწილი თვლის, რომ პროგრამა თანმიმდევრულად იყო შედგენილი, შეესაბამებოდა თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტებს და მინიჭებულ კრედიტების რაოდენობას ადეკვატურად აღიქვამდნენ. აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კითხვარების ანალიზიდან გამომდინარე შეფასების სისტემა გამოკითხვის ამ ფორმით გამართლებულია, თუმცა სტუდენტთა მხრიდან ჩართულობა, რაც მიღებული შედეგების გაპროტესტებაში შეიძლება აისახოს, იყო დაბალი. სწავლის შედეგების შეფასება შემდგომში გამოიყენებოდა პროგრამის გასაუმჯობესებლად, ხოლო სასწავლო უნივერსიტეტი ლექტორთა შეხედულებებს ამ პროცესში აქტიურად ითვალისწინებდა.

შევსებული კითხვარების ანალიზიდან ირკვევა ლექტორთა ნახევარი თვლის, რომ ბიბლიოთეკაში უახლესი სამეცნიერო პუბლიკაციები მეტნაკლებად იყო ხელმისაწვდომი, თუმცა საერთაშორისო სამეცნიერო ბიბლიოთეკებთან წვდომას უზრუნველყოფდა. რაც შეეხება მატერიალურ რესურსებს, აუდიტორიები საჭიროებდა სხვადასხვა რესურსის დამატებას, თუმცა ელექტრონული საქმისწარმოების სასწავლო უნივერსიტეტში დაინერგა ბაზები უკვე გამართულად ფუნქციონირებს.

### თანამშრომელთა კმაყოფილების კვლევა

კვლევის მიზანი იყო შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის თანამშრომლების მიერ საუნივერსიტეტო საქმიანობით კმაყოფილების შეფასება.

კითხვარი დაურიგდა სულ 49 თანამშრომელს, რომელთაგანაც გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 33-მა თანამშრომელმა, რაც მთლიანის 67%-ს შეადგენს.

კვლევაში მაქსიმალურად განხორციელდა თანამშრომელთა დამოუკიდებელ მონაცემთა გათვალისწინება, რამაც მათი მრავალფეროვნების ამსახველი სურათი შექმნა.

თანამშრომლებმა კვლევის ფარგლებში შეაფასეს ადმინისტრაციული საქმიანობა, საიდანაც გამოვლინდა, რომ სამსახურში მიღება-დანიშვნის პროცესი მიმდინარეობდა სამართლიანად და გამჭვირვალედ, არჩევითობის პრინციპის დაცვითსამსახური უზრუნველყოფდა თანამშრომელთა ეფექტურ ინტეგრირებას, მმართველი რგოლი ობიექტურად აფასებდა თანამშრომელთა მიერ შესრულებულ სამუშაოს, ითვალისწინებდა მათ მოსაზრებებს და იყო ღია მათი ინიციატივების მიმართ. სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის შეხვედრები და ასეთი ფორმით კითხვარი გამოკითხვა შეაფასეს რელევანტურად და კარგად ორგანიზებულად. გასათვალისწინებელია, ის ფაქტიც, რომ თანამშრომლებს ხშირად უწევდათ სამსახურში დამატებითი დროის გატარება, რაც იშვიათად თუ იყო ანაზღაურებადი. რესპოდენტებმა ეფექტურად შეაფასეს ადმინისტრაციული სამსახურის საქმიანობა.

თანამშრომელთა აღქმით სამსახური მატერიალური რესურსებით სრულად უზრუნველყოფილია. მათ ასევე გამოთქვეს მოცემულ საკითხთან დაკავშირებით სხვადასხვა მოსაზრება. გამახვილდა ყურადღება სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების მოკლევადიანი და გრძელვადიანი დაგეგმარების სწორი მიდგომების შესახებ.

## კურსდამთავრებულთა კვლევა

კვლევის მიზანი კურსდამთავრებულთა კმაყოფილების გამოკვლევა სასწავლო უნივერსიტეტში ათვისებული კომპეტენციების მიხედვით.

გამოკითხვაში მონაწილე კურსდამთავრებული ძირითადად იყო ბაკალავრიატის, ხოლო მაგისტრატურაში სასწავლო უნივერსიტეტში კურსდამთავრებული არ ფიქსირდება. კურსდამთავრებულების სიმცირის გამო ვერ მოხერხდა სრული სურათის დანახვა, მაგრამ ზოგიერთის აქტიურმა ჩართულობამ სამიზნე ჯგუფებში შექმნა ზოგადი წარმოდგენა გასათვალისწინებელ საკითხებთან დაკავშირებით თავიანთი აზრი დააფიქსირეს სასწავლო უნივერსიტეტში ათვისებული კომპეტენციების შესახებ.

გამოვლინდა, რომ მაღალ დონეზე დაეუფლნენ შემდეგ კომპეტენციებს: დარგობრივი ცოდნა, კომპიუტერული უნარ-ჩვევები, კრიტიკული აზროვნებისა და გუნდური მუშაობის, დაგეგმვისა და ორგანიზაციული უნარები და კომუნიკაბელურობა. მათი 60% ფიქრობდა, რომ სასწავლო უნივერსიტეტში მიღებული ცოდნა დასაქმებაში გამოადგათ. გამოკითხულთა ნახევარზე მეტი სასწავლო უნივერსიტეტის დასრულებიდან 1 წლის განმავლობაში დასაქმდა, ხოლო მათი 33% სასწავლო უნივერსიტეტში სწავლის დროსაც მუშაობდა. აღსანიშნავია, რომ იგივე პროცენტული რაოდენობა ინტერვიუერების გამოდებით იღებდა განახლებულ ინფორმაციას სტაჟირებისა და დასაქმების პერსპექტივის შესახებ. სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებისა და აკადემური პერსონალის მხრიდან დადებითად აღიქმებ სასწავლო უნივერსიტეტში სტუდენტური სერვისებისა და დასაქმების ცენტრის გამართული მუშაობა, რამაც გარკვეული შედეგი გამოიღო და შეფასდა დადებითად.

აქედან გამომდინარე, კარიერული მხარდაჭერის სამსახურის აქტიური და ქმედითი მუშაობით ზემოხსენებული კურსდამთავრებულები თავიდანვე ფლობდნენ ინფორმაციას კარიერული განვითარების შესახებ და დგამდნენ შესაბამის ნაბიჯებს. გამოკითხულ კურსდამთავრებულთა უმრავლესობა წარმოადგენს 500-დან 1000 ლარამდე შემოსავლის მქონე პირებს.

## დამსაქმებლების კვლევა

კვლევის მიზანი იყო დამსაქმებელთა კმაყოფილების გამოკვლევა მათ მიერ დასაქმებული სასწავლო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულების/სტუდენტების მიმართ.

ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ გამოკითხული პირები წარმოადგენდნენ ქ. თბილისში მსხვილი ზომის კომპანიებს, რომლებიც შრომის რეგიონული ბაზრის მოქმედი აქტორები და შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა/ სტუდენტების აქტიური დამსაქმებლები არიან.

გამოკითხულთა უმრავლესობა მიეკუთვნებოდა საფინანსო და სადაზღვევო საქმის, საგანმანათლებლო საქმიანობისა და მომსახურების სფეროებს. რესპოდენტთა პასუხების მიხედვით ისინი უფრო ხშირად ბაკალავრიატის ხარისხის მქონე პირებს ასაქმებენ, ხოლო კადრის აყვანის საჭიროება 65%-ს წელიწადში რამდენჯერმე ჰქონდა, 30%-ს ყოველ თვე და დარჩენილ 5%-ს რამდენიმე წელიწადში ერთხელ. მათი სრული უმრავლესობა ვაკანსიის შესახებ ინფორმაციას სოციალური ქსელებისა და ვაკანსიების ვებ-გვერდების საშუალებით ავრცელებდა; ხოლო კადრების ასაყვანად კონკურსის წესს იყენებდა. გამოკითხულთა უმრავლესობის აზრით სასწავლო უნივერსიტეტის

კურსდამთავრებულები/სტუდენტები, რომლებიც მათ ჰყავდათ დასაქმებული სავსებით აკმაყოფილებდნენ სამუშაო ბაზრის მოთხოვნებს. გამოკითხულ დამსაქმებელთა შეხედულებით, ზემოხსენებული კურსდამთავრებულები/სტუდენტები თანამედროვე სტანდარტებისათვის დამაკმაყოფილებელ შემდეგ კომპეტენციებს ავლენდნენ: დარგობრივი ცოდნა, აკადემიური წერის უნარები, კომპიუტერული უნარ-ჩვევები, მათემატიკური, ანალიტიკური და პრობლემების გადაჭრის, გუნდური მუშაობის, დაგეგმვისა და ორგანიზაციული უნარები, იყვნენ კომუნიკაბელურები, ჰქონდათ მაღალი პროფესიული პასუხისმგებლობის შეგრძნება და ყოველთვის იცავდნენ მორალურ და ზნეობრივ ნორმებს.

## დასკვნა

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და სასწავლო უნივერსიტეტში სტუდენტური სერვისებისა და დასაქმების ცენტრისკოორდინატორის ნინო სებისკვერაზის ერთობრივი მუშაობით ჩატარებული კვლევების ანალიზმა გამოავლინა აღნიშნულ საკითხში საჭირო ღონისძიებების დასახვის აუცილებლობა. დაიგეგმა შემდგომი პერსპექტიული თანამსრომლობის გზები სასწავლო უნივერსიტეტსა და პოტენციურ დამსაქმებლებს შორის. სისტემატიზებული კვლევების მონაცემთა ანალიზის საფუძველზე სტუდენტური სერვისებისა და დასაქმების ცენტრმა კოორდინატორი ნინო სებისკვერაძე მოახდინა გასაუმჯობესებელი სერვისებისა და სხვადასხვა საკითხის ირგვლივ ხარვეზების იდენტიფიცირება. ასევე, შესაბამისი სამსახურებისათვის გაიცა რეკომენდაციები, რაც ითვალისწინებდა დავალებებს მითითებული საკითხების დახვეწისა და ეფექტური ფუნქციონირებისათვის. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აწარმოებს გასაუმჯობესებელი სერვისების მიმდინარე სამუშაოების მონიტორინგს, რაც უკუკავშირის სახით უზრუნდება დაინტერესებულ მხარეებს.